საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №90
2024 წლის 27 დეკემბერი

ქ. თბილისი

„წვევამდელის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მიღებისა და სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 24 სექტემბრის №57 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„წვევამდელის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მიღებისა და სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 24 სექტემბრის №57 ბრძანების (www.matsne.gov.ge, 27/09/2021, 140030000.22.034.017159):

1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის, თავდაცვის კოდექსის 178-ე მუხლის მე-7 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:“.

2. პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

„მუხლი 1^1

ამ ბრძანების მოქმედება გავრცელდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში 2025 წლის 1 იანვრამდე სპეციალური წოდებით მიღებულ წვევამდელზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **ვახტანგ გომელაური**